



პ.ი. ლანინი

F დღის

იხუზვი, ტურა ქუჩაზე,
იღვინე, ქართველი მხარე,
და შენ, ქართველი, სწავლია
სამშობლოს ვაძნარე."

ნ.ი.

572
1950

572



128

საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი მთიანეთის რედაქციის

აპრილი
1950

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ



მისი ნათელი სურათი


ო, როგორ გვიყვარს პატარებს
დიდი ლენინი სულმნათი!
ვარდ-ყვავილებით შევამკოთ
მისი ნათელი სურათი.

მის დანაბარებს ვასრულებთ,
გვიყვარს სკოლა და წიგნები,
დიდი ლენინის ანდერძის
მარად ერთგული ვიქნებით.

ჩვენ ვიცით: დიდი სტალინი
ლენინს მთის არწივს ადარებს!
ლენინს ზაფხულები უყვარდა,
ლენინი უყვართ პატარებს.

ის ოცნებობდა ჩვენს ბედზე,
ჩვენს დიად დროზე, სულმნათი.
თავგულებით შევამკოთ
მისი ნათელი სურათი!

4828



3. ი. ლენინის ბავშვობისას

ის ლენინის სურათს უმზერს

მამის საწერ მაგიდასთან
ზის პატარა ნუცა,
ზის და დიდი გატაცებით
„დედაუნას“ ფურცლავს.
პატარაა და სკოლაში
ნუცა ჭერ არ დადის.
კითხვა იცის, წერაც იცის
და ოცამდეც დათვლის.
მუდამ სწავლობს, დრო დადგება
და სკოლაში შევა.
იცის, როგორ მოიქცევა,
მამას ჰკითხა რჩევა.
მამამ უთხრა: უნდა ძლიერ
შეიყვარო წიგნი.

გახდი მისი მეგობარი,—
გიმეგობრებს იგიც.
ჩვენ ლენინის ბრძნული რჩევა
დავისსომოთ უნდა:
სწავლა, სწავლა... ვინცა სწავლობს
ის იმარჯვებს მუდამ.
მამის საწერ მაგიდასთან
ზის პატარა ნუცა,
ზის და დიდი გატაცებით
„დედაუნას“ ფურცლავს.
კითხულობს და სიხარული
ეფინება გულზე.
ის ლენინის ნათურ სახეს
დიდხანს, დიდხანს უმზერს.

პარიზ სულაქაური



ქართული საღვთისწინა ლექსები
ლ ე ნ ი ს ე

ლენინ. მამოძვარის ბაღში

ლენინ, თქვენთვის ბუღაღო,
შენ არა სარ ჩვენთვის მკვდარი;
ძიულ მსოფლიოს გააღვიძებს
შენგან შემოკრული სარი.
კომუნისმის გამარჯვება
ასაღვლდეგებს საღვთის გულსა,
გაუმარჯოს წითელ დროშას
ლენინისძიოთ მოქარგულსა.

არ ლაქონისაში

დიდი ლენინის სიტყვები
ბასრი სმადივით სჭრისაო,
სინათლეს ნახავს შორადა —
გამკაფავია გზისაო.
არ დავივიწყებთ აროდეს,
მანამდის მსე და მოვარება,
რაც რომ სიმართლეს ვინაოვნე,
სულ იმის ნაუბარა.

ლენინის ბარათაღვარება

გახშირდა რადიოები,
ტელეფონები თანაო,
რუსეთით ამბავ მოსულა:
ლენინი გარდაცვალებო...
იქნებ მოსტყუდა რადიო —
სიტყვა ვერ მოიტანაო?!
ფრინველთ შესწევითეს კალობა,
იმათაც იგრძნეს, განაო.
ვაგლას, მომკვდარა ლენინი —
თავისუფლების მამაო.

მ ს ე მ

ვით კადრო, მკრამ თქვენ შუა
დაღია განსხვავებაი, —
შენ მარტო დღისით კვინათებ,
ლენინ —

ღამითაც მსე არი.



ელაღიძარ მამიაკოვსკი

რა არის კარგი რა არის ცუდი



ნახატები ალ. გიგოლაშვილისა

მიმდინარე წლის 14 აპრილს შესრულდა 20 წელი საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან. ვაჭვეუნებთ მის ერთ-ერთ ნაწარმოებს „რა არის კარგი და რა არის ცუდი“, რომელიც ქართულად თარგმნა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ

კიკნა ბიკი
მამასთან
შემოიკრა წუთით:
— „მამი,
კარგი რა არის,
ან რა არის
ცუდი?“
მამის პასუხს
ბაღღებო
მე ამ ლექსში
გიწერთ,
საიდუმლო
არ არის
მოისმინეთ,
გიწვევთ:
„თუ სახურავს
ქარი გლეჯს,
დგება სეტყვის წუთი,
ყველამ იცის
ეს არის
მგზავრებისთვის
ცუდი.
წვიმა იყო,
გადილო,



და მზე ღრუბლებს გასცდა,
ეს კარგია,
უხარის
დიდს და
პატარასაც.
თუ ბავშვს ტანზე
ღამისფრად
შავი ქუქუკი
აძევს,—
ცუდი არის,
მოკმედებს
ბავშვის
სათუთ კანზე.
თუ ბავშვს უყვარს
საპონი,
უყვარს
კბილის ფხენილი,—
კარგი არის
ეს ბავშვი
და ამგვარი შვილი.
სუსტი ბავშვის
დამწაგვრელს,
ყბედს და
შარის მომედებს

მე ამ წიგნში
არ ჩავწერ,
იმედით არ ჰქონდეს.
ის ვინც ამბობს:
— „მოსცილდით,
ამ პატარას
ნუ სცემთ!“



ძლიერ კარგად იქცევა,
ეხმარება
სუსტებს.



თუ აქტივით
ნაკულად
წიგნები და
ბურთი,
მოზრდილები ამბობენ:
— „ეს ბავშვია
კული“



თუ ბავშვს უყვარს
შრომა და
წიგნში თითებს
ჩარგავს,—
მისთანებზე
იქ წერენ,
რომ ეს ბავშვი
ვარგა.



თუ ყვავსაც კი
გაურბის
და გონებას ჰკარგავს,—
ეს



მშიშარა ბავშვია
შიში კი
არ ვარგა.
ის თუმც
კიკნა ბიკია,
ლევა ფრინველს
ჩაგრავს,—

ყოჩაღი და კარგია,
ცხოვრებისთვის
ვარგა.
ზოგს ტალახშიც
უხარის,
დასერილ ქულს
არ იძრობს,
ასეთ ბავშვს
უწოდებენ
უვარგისს და
ბინძურს.
ზოგს კი
წალა ისე აქვს
როგორც
პირი სარკის,—
თუმც
პატარა ბიკია,
მაგრამ
ძლიერ კარგი.
ეს გახსოვდეთ
ბავშვებო,
მეც საუბარს
მოვრჩი,
შეეჩვიეთ
კარგ ქცევას
სანამდე ხართ
ნორჩნი“
ბავშვი სწრაფად
გაიქცა,
გაისწორა
ქული:
— „უნდა კარგად
მოვიქცე,
რომ არ ვიყო
კული.“



ანდრო ლომიძე

ნახატები ალ. ვეფხვაძისა

ზაქროს არხი

მშრალი, ცხელი ქარი ჰქრის. ზამთარში აქ საოცრად ცოვა, ზაფხულში კი აუტანელი სიცხეა.

მთებს შორის ტბებია, ტბის ნაპირებზე სიცხეს ლელი დაუწევს, გაუხშია.

ხმაურობს ბეტონსარეველა. ბეტონსარეველას მართავს შუახნის ოსტატი თომა.

— ძლიერ გცხელა? — ღიმილით მართავს თომა ახლადმიღებულ შეგირდს ზაქროს.

ზაქროს კილის ქუდი ახურავს. ქარი ოფლიან სახეში აყრის სილასა და ცემენტს. სახე გამურვია.

— ცხელა, ძალიან ცხელა, ძია. ავტომანქანები ბეტონსარეველასთან ეზიდებიან ხრეშს, სილას, ცემენტს. მუშები სილას სკრიან; შემდეგ ბეტონსარეველაში ჰყრიან ცემენტს, სილას და ხრეშს.

მუშაობს ბეტონსარეველა. ხრეშს, სილას და ცემენტს ერთმანეთში სწრაფად ურევს, შერე ის ნარევი ავტომანქანებით მიაქვთ არხთან, სადაც კოლმეურნეები მუშაობენ, არხს აბეტონებენ.

— ძია, რატომ თხრიან ამ არხს? — ეკითხება თომას ზაქრო.

— ამ არხში მდინარე იორმა უნდა

იღინოს, რომ ამ მთებს შორის წყალი დაგროვდეს და ეს ტბები დაჰფაროს. მაღლე აქ უხარმხარი ტბა ზღვასავით გაიშლება.

ზაქრომ ოფლიან სახეზე ხელი მოისვა და ჩაილაპარაკა:

— ახლა, თბილისშიც ასე ცხელა?

— ეს სიცხე ქარს თბილისში შეაქვს, როცა აქ ტბა იქნება, თბილისშიც ეგრილება. ამ მთებზე ტყე გაშენდება. — თქვა თომამ, წუთით თვალები დახუჭა და მწვანეში ჩაფლული საშვარი წარმოიდგინა.

* * *

სამუშაო ღლე რომ გათავდა, ზაქრომ ისადილა, ტბისაკენ გაეშურა, იბანავა და შემდეგ სათამაშო არხის თხრა დაიწყო.

ზაქრომ არხი გათხარა და ტბიდან პატარა ღარით წყალი არხში გადაუშვა, მაგრამ წყალს ბოლომდე არ მიუღწევია. გზადაგზა წყალი მშრალია მიწამ შეისრუტა.

„არხს დავაბეტონებ, მაშინ მიწა წყალს ველარ წამართმევს“, — გაიფიქრა ზაქრომ, მაგრამ ცემენტი სად იშოვოს? თომას ვერ სთხოვს, ცემენტი მშენებლობისაა, თბილისში ბიძას გამოართმევს; ხოლო, ხრეში და სილა?! მტკვრის სანაპიროზე, სადაც ჯირობითი მზის აბაზანის ღებულობდა ზაქრო, ხრეშიც არის და სილაც ერთმანეთში არეული; პარკში ჩაჰყრის და აქ

მოიტანს. შაბათ საღამოს მშენებლობის მუშები და მოსამსახურეები ავტომანქანებით თბილისს მიემგზავრებიან ზოლმე, ზაქროც წაჰყვება, მშობლებს ნახავს, მტკვარში იბანავენ: ყვირს კი სხვებთან ერთად უკანვე დაბრუნდება, რომ ორშაბათს კვლავ მუშაობას შეუდგეს.

* * *

ზაქრომ თბილისიდან ცემენტი, ხრეში და სილა ჩამოიტანა. საღამოს ერთმანეთში აურია, ზედ წყალი დაასხა და მერე ამ ნარევით არხის ფსკერი და გვერდები ამოლესა. ბეტონი გაშრა, ზაქროს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც არხში წყალი გაუშვა და სათამაშო ზომალდი შეაცურა.

ერთხელ, სამუშაო დღე რომ დამთავრდა, თომამ ზაქროს შეაკრად ჩაპხედა თვალბში და უთხრა:

— (უღღუტობს!

ზაქროს ვერ გაეგო რატომ უწყურებოდა თომა.

— ვინ მოგცა ცემენტი, ხრეში და სილა?

— რომელი ცემენტი? — ძლივს შეხებდა ზაქრომ და თვალები ცრემლით ავესო.

— ტბისკენ წამოყვებ!

ახლა კი მიხვდა ზაქრო, თუ რატომ უწყურებოდა თომა. ალბათ თომამ ტბასთან გათხრილი არხი ნახა და გადასწყვიტა: ზაქრომ მშენებლობის მასალით დააბეტონა არხიო.

მლაშე ტბას მიადგნენ. თომამ დახედა ზაქროს მიერ გათხრილ პატარა არხს და თქვა:

— სახელწოდება ქონება აქ ჩუმაღ მოგაქვს და ანიავებ. ჩემთვის მიინც გეთქვა, — ცემენტი და ხრეში მჭირდებათქო.

— თბილისიდან ჩამოვიტანე, მშენებლობის ცემენტი არ მიხმარია. — დაბეჯითებით უპასუხა ზაქრომ.

— ხრეში და სილა ვინ მოცა?

— მტკვრის ნაპირას ხრეში და სილა ერთმანეთშია არეული, პარკში ჩაყარე და წამოვიღე.

— მტკვრის ნაპირი განა ასეთია? სად არის, ბოჭო, ის ადგილი?

— გიჩვენებთ!

თომა დაიხარა, ბეტონს ხელი შეებო. ბეტონი მავარი იყო. თომა ჩაფიქრდა. მერე ზაქროს ჰკითხა:

— სილა არ გაგიკრია?

— არა!

„ხრეში შორეული ქალაქებიდან მოგვაქვს ვაგონებით, ხანდახან ხრეში იგვიანებს, ეს კი მუშაობას აფერხებს. სილას ვცრით... ყველა ამას ბევრი დრო და ხარჯი მოაქვს. ჩვენ დიდი ხანია დავეძებთ ერთმანეთში არეულ სილას და ხრეშს, თურმე სულ ეხლოს ყოფილა. მტკვრის სანაპიროს დევათვალიერებ, მერე კი მშენებლობის უფროსს მოვხსენებ“ — ფიქრობდა თომა.

— არხი შენი მასალით დააბეტონე, ხომ ზაქრო? ყოჩაღ! — დაუყვავა თომამ ზაქროს და მუბლზე აკოცა.

* * *

მას შემდეგ სამმა თვემ განვლო. ზაქრო შეგირდად აღარ ითვლება. დააწინაურეს და ბეტონსარეველას გვერდით მუშაობს.

მტკვრის ნაპირიდან ავტომანქანებით ეზიდებიან ზაქროს მიერ აღმოჩენილ ხრეშ-ნარევ სილას. ეს მასალა, ბუნებრივად ისეა შეზავებული, რომ არც ხრეშის დამატება სჭირდება, არც სილის: პირდაპირ ჰყრიან ბეტონსარეველებში და ამით არხის მშენებლობა უფრო დაჩქარდა.

მშენებლობის უფროსმა მადლობა გადაუხადა ბეჯით ზაქროს და იგი რამდენიმე თვის ხელფასით დააჯილდოვა.





ლენსკონე პიუზი

ნახატები გრ. ჩიჩინა წვილისა

ზ ა ნ ბ ი ს ბ ი ჰ ი

ოთხი საათის მატარებელს ჩამოჰყვა პატარა ბიჭი, რომელიც ცოტა ხნის წინათ გამოიძახეს ხეიბარ ბავშვთა თავშესაფარში, და ყველას ელდა ეცა:—იგი შავკანიანი აღმოჩნდა!

ძალიან წუხდა თავშესაფარის დიასახლისი მისის^{*)} ოსბორნი, მაგრამ რა უნდა ექნა. დილაძე მატარებელი აღარ აივლიდა, რომ უკანვე გაებრუნებინა ბიჭი. იმ საღამოს სამზარეულოში შეიყვანა და თეფშების რეცხვა დააწყებინა, დილით კი თავშესაფარის უფროსს, ექიმ რენფილდს მიმართა:

— ახალი თავსატეხი გაგვიჩნდა, მისტერ^{**)} რენფილდ. სამზარეულოს ფარეში ბიჭი გუშინ წავიდა. სააგენტოდან ახალი გამოვიძახე. როგორა გგონიათ, ვინ გამოგზავნეს? ზანგის ბიჭი, მილბერი ჯონსი! თითქოს არ უნდა იყოს ურიგო ბიჭი, მაგრამ

ჩვენ რა ჯანდაბად გვინდოდა! ახლაც რას მეტყვი, სერ, დავტოვო თავშესაფარში?

მისტერ რენფილდმა შუბლი შეიკმუნა, ღრმად ჩაფიქრდა. შემდეგ მისის ოსბორნს მიმართა:

— სხვა მოსამსახურეები რაღას იტყვიან?

— რა ვიცი, როგორ გითხრათ! მთავარი უბედურება ის არის, არ ვიცი ღამით სად დავაწვინო.

— აბა, აბა,— დემოწმა თავშესაფარის უფროსი.

— ახლა მეორე საკითხიც, — განაგრძო მისის ოსბორნმა, — მთელი ზაფხულით დავტოვოთ, თუ რამდენიმე დღის შემდეგ უკანვე გავაბრუნოთ? რა თქმა უნდა, შეგვიძლია ისევ ვთხოვოთ სააგენტოს თეთრკანიანი ფარეშის გამოგზავნა, მაგრამ, ამას ბევრი დრო მოუწდება, და თანაც რა ვიცი თვის გამოგზავნის.

*) მისის — ქალბატონი

***) მისტერ — ბატონი



მისტერ რენფილდი კვლავ ღრმად ჩაფიქრდა:

— თქვენ ამბობთ, მუშაობა შეუძლიაო. იმუშაოს! ღამით კი სხვენში იძინოს. — ჩაიხიბხიბა ექიმმა. — ახლა ეს მითხარით, თეთრკანიან ფარეშს რამდენს ვუხდით?

— ათ დოლარს.

— ამას კი გაუნახევრეთ, და დასტოვეთ. დე, იმუშაოს!

ასე გადაწყდა მილბერი ჯონსის თავშესაფარში ყოფნის საკითხი.

* * *

კარგი ბიჭი იყო მილბერი, — ჭკვიანი და კეთილი, ღონიერი და სამართლიანი, მაგრამ თავის დღეში სკოლაში არ ესწავლა. სადაც თვითონ ცხოვრობდა, იქ ახლო არსად იყო ზანგების სკოლა, თეთრკანიანთა სკოლაში კი სწავლის უფლება არ ჰქონდა. მამა ადრე გარდაეცვალა და დედას უნდა დახმარებოდა ოჯახის რჩენაში: ოთხი პატარა და-ძმა ჰყავდა მილბერის. მაგრამ ასე ადვილი როდი იყო სამუშაოს შოვნა! ახლა კი როგორც იქნა ბედმა გაუღიმა.

მალე მიხვდა მილბერი, რომ ჯოჯობეთური შრომა დააკისრეს:

დლით ექვის ნახევარზე უნდა ამდგარიყო და შუალამემდე შუუსვენბლივ უნდა ემუშავა. ახლა, სხვა მოსამსახურებმაც აბუჩად აიგდეს და თავიანთ საქმეს საბრალო მილბერის აკეთებინებდნენ. მისის ოსბორნი შიკრიკის საქმესაც მას ასრულებინებდა. მიხვდა მილბერი, რომ სულელად ჩასთვალეს, მაგრამ რა უნდა ექნა, სხვაგან სადღა იშოვნოდა სამუშაოს. ამას გარდა, თავშესაფარის ბავშვებსაც შეეთვისა მილბერი.

— საბრალო ბაღლები. — ხშირად იტყოდა ხოლმე იგი თავისთვის. — მხოლოდ მაშინ აქმევედნენ ადამიანურ საქმელს, როცა მამა ან დედა ჩამოუვიათ. რენფილდი კი მათი ფულით მდიდრდებოდა.

წყალწყალა საქმელს აძლევდნენ ბავშვებს, ხოლო კარგი საქმელები მისტერ რენფილდის სახლში მიდიოდა.

შეუყვარდა მილბერის საბრალო ხეიბარი ბავშვები და ბავშვებმაც შეიყვარეს იგი.

ერთ დღეს, მილბერიმ, დრო იხელთა და უფრო ღონიერ ბავშვებს შეერია, რომლებიც მდინარის პირას თამაშობდნენ. სხვები, რომელთაც სიარული არ შეეძლოთ, იქავე ისხდნენ თავიანთ სამთვალა ურიკებში და მოთამაშევებს შესტკეპროდნენ. უცებ წვიმა წამოვიდა. მომელელმა ქალებმა მილბერის მიმართეს, ბავშვები წაგვაცუვანინეო. ხან ერთს დაავლებდა მილბერი ხელს და ხან მეორეს, თან გულიანად აცილებდა. ხეიბარ ბავშვებს ძალიან მოეწონათ ზანგის ბიჭი და სთხოვეს: როცა მოიცილო, ჩვენთან ითამაშეო.

მეორე დღესაც მივიდა მილბერი მდინარის პირას და მოთამაშე ბავშვებს შეერია. უამბობდა ზღაპრებს.

უმღეროდა ძველ ზანგურ სიმღერებს, ართობდა და აცინებდა. შემდეგ მომვლელ ქალებს შეველოდა ხეიბარი ბავშვების გადაყვანაში. ამის შემდეგ ყოველდღე მივიღოდა ხოლმე მიღბერი მდინარის პირას და ბავშვებიც სიხარულით იესებოდნენ. ისმენდნენ ზღაპრებს, ზანგურ სიმღერებს. სააღერსო სახელად მას ბერი შეარქვეს.

დადგა აგვისტო. წვიმიანი დღეები დაიჭირა. მთელი კვირა წვიმდა. ერთ დღეს, მშემ გამოაქუცია. მიღბერი სამხარეულოში თეფშებს რეცხავდა. უცებ ერთი მომვლელი ქალი შემოვარდა სამხარეულოში:

— ბერი, ჩვენ მდინარის პირას მივდივართ და ბავშვების გადაყვანა გვიშველე.

— ჰალო, ბერი! — სიხარულით შეჰყვირეს ხეიბარმა ბავშვებმა.

— ჯერ მე წამიყვანე, ბერი! — მიმართა პატარა ბიჭმა.

— ახლავე. — აღერსით მიუგო პატარა ზანგის ბიჭუნამ, მაგრამ მოჰკიდა თუ არა ხელი ურიკას, უცებ ზურგიდან მომვლელი ქალი დაეჯახა. მიღბერის ხელი გაუსხლტა, სამთვალა დაღმართში დაქანდა, ველარ დაიჭირა ბიჭმა. სამთვალა გადაგორდა და პატარა ბავშვმა, რომელიც მიწაზე დაეცა, ტირილი მორთო.

მომვლელი ქალები მაშინვე მოვარდნენ, მისის ოსბორნიც იქ გაჩნდა. მიღბერიმ ბავშვი ხელში აიტაცა. ბავშვმა მას კისერზე შემოაჯდა ხელები, თან სლოკინებდა. შეშინდა ბავშვი, დაშავებით კი არაფერი დაშავებია.

— საბრალო ბაღლი, — დაუყვავა მიღბერიმ. — გეტკინა რამე? რა ვქნა, ჩემი ბრაღლი არ იყო.

მაგრამ მომვლელი ქალები გაკაპასდნენ და განაცხადეს: ყველაფერი ზანგის ბრაღლიაო. მისის ოსბორნი მისტერ რენფილდთან მივიარდა.

ექიმი რენფილდიც მოვიდა, ბავშვი აღარ ტიროდა, ხელები მიღბერისათვის შემოეხვია და კრუსუნებდა, თავს ბედნიერად გრძნობდა.

— ბავშვი აქ მომეცით! — დაიყვირა რენფილდმა. — მისის ოსბორნი, ახლავე საოპერაციოში წაიყვანეთ! სულელი ზანგი! თქვენ რაღა მოგივიდათ, მისის ბაქსტერ. — მრისხანეთ მიმართა მან მომვლელ ქალს.

საოპერაციოში დარწმუნდნენ, რომ ბავშვი სავსებით უვნებელი იყო. მაგრამ მისტერ რენფილდისა და მისის ოსბორნის მრისხანება მაინც არ დაცხრა.

— ახლავე გააგდეთ, სულელი ზანგი! ხელფასსაც ნუ მისცემთ. იმ ფულით გატეხილი სამთვალა უნდა შევაკეთოთ! — შესძახა მისტერ რენფილდმა.

უმშუვევრად და უფულოდ დარჩენილი მიღბერი შინ წავიდა.

ინგლისურიდან თარგმნა **მ. ხალიძე**





ზარამ ჭაბუკიძე

ნახატი ვახტანგ ჯაფარიძისა

ფართო ქუჩა

ღალის სკოლა უნინ იდგა
 ვინრო ქუჩის დასაწყისში,
 სკოლისაკენ ღედა ღალის
 აცოიღებდა მუდამ შიშით, --
 თუმც ვინრო გზა მიდიოდა,
 მოძრაობა იყო ღიდი,
 ძლიერ ვინრო ქვაფენიღზე
 გვერდს ვერავის აუვიღდი:
 მაგრამ შარშან აგარაკზე
 ისეფნებდა ჩვენი ღალი,
 რომ დაბრუნდა, სკოლის ახლო
 გარეუბით შეღვა ქალი:
 საღლა იყო ვინრო ქუჩა,
 გამჭრადიყო მისი კვადიცი,

და მის ნაცვლად ფართო პროსპექტს
 ვერ სწეღებოდა თითქმის თვალი.
 ახად ქუჩას ხეები და
 ყვავიღები ამშვენებდნენ.
 ღალის სკოლის იქით-აქეთ
 ახად სახლებს აშენებდნენ.
 ასე იქცა ღალის ქუჩა
 მთელ ქადაქის დამამშვენად,
 ისე ძლიერ გაღამაზდა,
 ვერც კი იტყვის კაცის უნა.
 ღალი დაღის ახად გზაზე,
 არც ღედას აქვს ახლა შიში,
 ამაყად ღვას ღალის სკოლა
 ფართო ქუჩის დასაწყისში.



ორი ხარბი დათუნა

შენათლი ხალხური ზღაპარი

ხვერდოვანი ველის გადაღმა, ბროლის მთების გადმოღმა იდგა გაუვალი, არნახული ხშირი ტყე. ამ გაუვალი არნახული ტყის შუაგულში, იქ სადაც ტყე განსაკუთრებით უღრანია, ცხოვრობდა მოხუცი დედა-დათვი. ამ მოხუც დედა-დათვს ჰყავდა ორი ვაჟი.

წამოიზარდნენ ვაჟები და გადასწვიტეს ბედის საქებნელად წასულიყვნენ. ჯერ, როგორც წესი და რიგია, დედას გამოეთხოვნენ. დედა გადაეხვია შვილებს, დაარიგა ისინი

და ურჩია: არასოდეს მიეტოვებინათ ერთმანეთი.

დათუნები დედას შეჰპირდნენ, რომ მის დარიგებას შეასრულებდნენ და გზას გაუდგნენ.

დათუნები ტყის პირს მიადგნენ, აქედან ველზე გავიდნენ. იარეს, იარეს და ბოლოს მთელი საგზალი გამოეღლიათ. დაღონებული დათუნები ერთმანეთის გვერდით მილასლასებდნენ.

— ეჰ! ჩემო ძამიკო, რომ იცო-

დე, როგორ მშია!—შესჩვილა უმცროსმა უფროსს.

— მე უფრო მეტად მშია!—უიმედოდ გაიქნია თავი უფროსმა.

ასე განაგრძობდნენ გზას, სანამ უეცრად არ წააწყდნენ დიდსა და ბრკეყვიალა ყველის გოგორას. ყველის გოგორა ისე იღო მოღაზე, თითქოს ელოდა, დათუნები როდის მიპოვნიანო.

აი, როგორ გაუღიმა ბედმა დათუნებს!

მათ გადასწყვიტეს ყველი კეთილსინდისიერად გაენაწილებინათ,—ორ თანაბარ ნაწილად გაეყოთ. გადასწყვიტესო,—სათქმელად ადვილია!



გადაწყვეტილი კი გადასწყვიტეს, მაგრამ ყველის გაყოფა კი ვერ შესძლეს. ორივენი მშვივრები და შიმშილისაგან დახარბებულნი იყვნენ.

— მოდი, ასე გავინაწილოთ: ეს ნახევარი—შენ, ეს კი—მე,—მიმართა

უფროსმა და თათით მოუზომა ნახევარი.

თუმცა უმცროსი დათუნა ხედავს, რომ ყველის ნახევრები თანატოლია, მაგრამ მიინც წუწუნებს:

— შენთვის მეტი დაიტოვე, ვიცი! მატყუებ!

— თუ არ მოგწონს, თვითონ გაპყვი!—დაიბრღღვინა უფროსმა.

— მოდი, ასე გავყოთ: ეს ნახევარი—შენ, ეს—მე,—ეუბნება უმცროსი და თან თითით უთითებს.

უფროსი ხედავს, ნახევრები თითქოს თანატოლია, მაგრამ ეს ზომ თვალთ ზომავდა და ვინ იცის, იქნებ უმცროსს უფრო დიდი ნაჭერი შეხვდეს?

— არ არის თანასწორად გაყოფილი, ასე არ მინდა!—დაიბრღღვინა უფროსმა.

ასე, ამგვარად, ისინი ერთმანეთის შურით კამათობდნენ, ილანძლებოდნენ და ბრღღვინავდნენ, რომ მეორეს უფრო დიდი ნაჭერი არ შეხვდებოდა. გაუყოფელი ყველი კი კვლავ მიწაზე იღო.

სად იყო და სად არა, მელია მოცუნტულდა.

— რაზედ კამათობთ, ახლოგარდებო?—შეეკითხა იგი ცბიერად.

დათუნებმა მელიას თავიანთ გასაქირზე ყველაფერი ისე უამბეს, როგორც მოხდა.

— აბა, ეს რა გასაქირია? ამას არ ჰქვია გასაქირი.—უბასუხა მელიამ.—მომეკით ვე ყველი და თანაბრად გავინაწილებთ. ჩემთვის ორივე ერთი ხარო, არც ერთს არ დაგჩაგრავეთ.

— აი, ასე კარგი იქნება!—შესძახეს გახარებულმა დათუნებმა.—გავინაწილე!

ცბიერმა მელამ ყველი გასტეხა
ორ ნაწილად, მაგრამ ისე, რომ თვა-
ლით ნათლად ჩანდა—ერთი ნაჭერი
ბევრად მეტი იყო მეორეზე.

— ეს უფრო დიდია! — შეჰყვირეს
ერთხმად დათუნებმა.

მელამ დაამშვიდა ისინი.

— დაწყნარდით, ყმაწვილებო!
არც ეს არის უბედურება, ცოტა-
ოდენი მოთმინება გმართებთ. მაგ
შეცდომას ახლავე გამოვასწორებ.

ცბიერმა, წითურმა მელამ, წი-
თელი ერთ გაილოკა შავი ტუჩები,
დიდ ნახევარს კარგა მოზრდილი
ნაჭერი მოკბიხა, გემრიელად დაღე-
ქა და გადაყლაპა. ახლა წინანდელი
პატარა ნაჭერი გამოჩნდა დიდი.

— არც ასე ვარგა, — შეწუხდნენ
დათუნები.

მელამ საყვედურით გადახედა
მათ.

— კარგით ახლა, კმარა, მე თეი-
თონ ვიცი ჩემი საქმე... — და მან დიდ
ნახევარს მოკბიხა ისეთი დიდი ზომის
ნაჭერი, რომ ძლივსლა ეტეოდა
ხახაში. ახლა დიდი ნაჭერი გახდა
პატარა.

— არც ასე ვარგა! — შემფოთდნენ
დათუნები.

— რა დაგემართათ? სულ ცო-
ტაც მომითმინეთ და ნაჭრები გათა-
ნაბრდებიან, — ძლივძლიობით უპასუ-
ხა მელამ, რადგან პირი უგემრიე-
ლესი ყველით ჰქონდა გამოტენილი
და ენას ძლივს აბრუნებდა.

ასე, ამრიგად გრძელდებოდა
ყველის გაყოფა. ხან ერთი ნაჭერი
იყო დიდი და გახდა პატარა; ხან
კი მეორე, პატარა ნაჭერი ხდებოდა
დიდი. დათუნები კი შავ დრუნჩებს
აქეთ-იქით აყოლებდნენ — პატარა

ნაჭრიდან დიდზე და დიდიდან პა-
ტარაზე.

ვიღრე მელა კარგად არ გამოძ-
ლა, სულ ზომავდა და ჰყოფდა. ყვე-
ლის ნაჭრები მხოლოდ მაშინ გაუ-
ტოლდნენ ერთმანეთს, როდესაც



დათუნებს დიდი ნაჭრების ნაცვლად
ორი ნამცეცილა დარჩათ.

— რა გაეწყობა, მართალია თეი-
თეულს ცოტა გერგოთ, მაგრამ სა-
მაგიეროდ ნაჭრები თანატოლი
შეგხვდათ. გემრიელად შეგერგოთ,
ჩემო დათუნებო! — ჩაიხითხითა მე-
ლამ და კუდის ქნევით არხინად გაუ-
დგა გზას.

დათუნებმა გადახედეს ჯერ ყვე-
ლის ნარჩენებს, შემდეგ ერთმანეთს
და საუბედუროდ, თავისი მცირე
გამოცდილებით მხოლოდ ახლა
დარწმუნდნენ, თუ რა შედეგი მოს-
დევს სიხარბეს.

ნახატები ი. გაბაშვილისა

სპილო



ნახატი ვ. ტორტაძისა

ერთ ინდოელს სპილო ჰყავდა. პატრონი მას ბევრს ამუშავებდა და უკუდად აქმევდა. ერთხელ სპილო გაჯავრდა და თავის ბატონს ფეხი დააბიჯა. ინდოელი მოკვდა. მაშინ მისი ცოლი ატირდა, მოიყვანა თავისი ბავშვები, სპილოს წინ დააყენა და უთხრა: „სპილო! შენ მოჰკალი ამათი მამა, დახოცე ესენიც“.

სპილომ დახედა ბავშვებს, ფრთხილად მოჰკიდა ხორთუმი უფროსს და კისერზე შეისვა. ამის შემდეგ სპილო უგონებდა ამ ბავშვს და მისთვის მუშაობდა.

თარგმანი პაპუნა წერეთლისა

თხა-ბეკეკა მობრძანდება

თხა-ბეკეკა მობრძანდება,
თაფს მოაკანტურებს;
მობრძანდება, მობაკუნებს,
ნეკერს აკნატუნებს.—
ხრუშ-ხრუშ, ხრუშ-ხრუშ—
ნეკერს აკნატუნებს.
თხა-ბეკეკა მობრძანდება,
წვერს მოაკანცარებს;
მობრძანდება, მობაღაბობს,
ანწლს მიირთმევს მწარეს:—
ხრუშ-ხრუშ, ხრუშ-ხრუშ,—
ანწლს მიირთმევს მწარეს!
თხა-ბეკეკა მობრძანდება,
მოღის თხა-კიკინა!
ცულღუტ შადვას დაეტაკა
და ძირს დააწვინა:—
შარმატები მას არ უყვარს,
არვინ დახვდეს წინა!

თხა-ბეკეკა მობრძანდება,
ჩვენი თხა-კიკინა,
დაურაზმავს თიკნები და
მოუძღვება წინა:—
პაკი-პუკი, პაკი-პუკი—
მოუძღვება წინა.

ილია სურგულაძე

ნახატი თენგიზ ხაბაიძისა



გაზაფხულია. ბარტყების გამოჩენის დროა დაღა. ტყეში ფრინველთა უძველესი-ხივილი გაისმის,—ბუდეებს გამაღებით იშენებენ.

ფუტკრები, კრაზანები და ქიანკვედები საერთო საცხოვრებლებს აგებენ. კილყვაეებმა დასასახლებლად ბაღები და ქალები აირჩიეს. მთელი ტყე ავსილია ფრინველების და მწერების სადგომებით.



2. კოდალა, ბუ და შოშია ბუდეს ხის ფულურობში იკეთებენ. აი, ნახეთ, როგორ გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებს ხის ფულუროს კოდალა. მისი სახლის კედლები გარედან კარგად დატულია, მას არც წვიმის, არც ქარისა არ ეშინია.



1. აი, ეს მოლალურის ბუდეა; ლამაზ მჩატე კალათს წააგავს და ჩამოკიდებულია ხის მაღალ ტოტზე; მოლალურის ბუდე მოქსოვილია ხის ქერქის ნაძენძისა, ჩაღისა და ბალნისაგან. ტოტზე დაკიდებული მსუბუქი ბუდე ნიავის დაბერვაზე აკვანივით ირწყვება. შიგ მოლალურის კვერცხები აწყვია და საკვირველია, როგორ არა ტყდებიან კვერცხები, როდესაც ქარი ტოტებს შეარხვეს ხოლმე.



3. ყველაზე მოხერხებული სახლი თხუნელებს აქვთ. მათ მიწაში იმდენი გასასვლელ-გამოსასვლელი გაუთხრიათ, რომ ამ სოროში დასაქვრად ვერსაიდან მიუღვები.



4. საკვირველი ბინა აქვს წყლის
ობობას. მისი სახლი წყალქვეშა
მცენარეების ღერებზეა გადაჭიმული.
აქ, ჩარდახივით გადაქსოვილი ქსელის
ქვეშ თავისი ბანჯგვლიანი სხეულით
მოხიდა ჰაერის ბუშტულები. აი,
ასე ცხოვრობს ჰაერიან სახლში,
მდინარის ფსკერზე ეს ობობა.



ერთმა ბელურამ კი ასეთი რამ
მოიფიქრა: ბიჭებმა მას ბუდე რომ
დაუზგრიეს, ის ხის ფულფროში მო-
ეწყო, მაგრამ იქ სინდიოფალამ შეუ-
ქაშა კვერცხები მაშინ ამ ბელურამ
არწივის ბუდეს მიაგნო და ამ უზარ-
მაზარი ბუდის მსხვილი ტოტების
ქვეშ თავისუფლად მოიწყო თავისი



5. მდინარის ფსკერზე ბუდეს აკე-
თებს მამალი ქიცვია თევზი (ეკალა
თევზი). მან აიოჩია წყლის მცენარე-
ების მძიმე ღეროები, რომლებიც
ზევით ვერ ამოტივტივდებიან. ამ
ღეროების ბოლოები ფსკერზე სი-
ლაში დაამაგრა; შემდეგ კედლები და
ქერი თავისი წებოთი შეაწება და
ყველა ჭუჭრუტანა ხავსით ამოავსო.
ბუდეში საძრომად ორი კარი დაი-
ტოვა.

6. ტყის პატარა თავგებმა ცკი ჩი-
ტის ბუდის მავარი სახლი გაიკე-
თეს; ლვიის ბუჩქებზე მიზიდეს ბალა-
ხები და ხის ქერქის წვრილი ბო-
ჭკოები და მიწიდან ძალიან მაღლა
მოკალათნენ თავის ბუდეში.

ზოგიერთი ფრინველი, მაგალი-
თად გუგული, ხარმაცობს და თა-
ვისთვის ბუდეს არ იმენებს, თავის
კვერცხებს კი სხვა ჩიტების ბუდეში
ჩააწყობს ხოლმე.



პაწია სახლი. ახლა ბელურას ალა-
რავისი შიში აქვს. არწივი ზედაც
არ უყურებს ამ წვრილფეხა ფრთო-
სანს, სამაგიეროდ არც სინდიოფა-
ლა და ალარც ბიჭები არას უშავე-
ბენ ამ ბელურას, რადგან არწივისა
ყველას ემინია.

ნახატები გ. რიონიშვილისა



ხუთი კატა

ლავინია ზღაპარი

ხუთი კატა ტყეში გაემკვანურა შუშის მონატანად. აზობდნენ შუშს, აზობდნენ და ვერ დააჩვენ. ხუთივე კუდაწყული სახლში გამობრუნდა. დაბრუნდნენ სახლში; მიიხედეს, მოიხედეს,—შეშა არ არის.

ადგნენ და მეორედ წავიდნენ, თითომ თითო ღერი შეშა მოიტანა და ეველამ სხვადასხვა სომისა: ერთი მოკლე, მეორე გრძელი, მესამე არც მოკლე და არც გრძელი. ძლივძლივობით დანათეს ცეცხლი, მოხარშეს ფაფა და სულ შესანსლეს მსუნაგებმა.

ისე გამოძინენ, ისე გამოძინენ, რომ სიარული აღარ შეეძლოთ. დაწვნენ და დაიძინეს.

წავიდეთ, ვნახოთ, სამ არ სძინავთ აქამდე?

გადმოქართულებული გრ. ჩიქვანის მიერ
ნახატი პ. დათებაშვილისა

პ ა ს უ ხ ი

ჟურნალ „ლილა“ № 2-ში მოთავსებულ ამოცანაზე

ყვეის მიერ ჩამოგდებული კაკალი მეორე ტოტიდან ჩამოაგდებს ერთ კაკალს,— გახდება ორი. ორი კაკალი მესამე ტოტიდან ჩამოაგდებს ორ კაკალს,— გახდება ოთხი. ოთხი კაკალი მეოთხე ტოტიდან ჩამოაგდებს ოთხ კაკალს— გახდება რვა.

პასუხისმგებელი რედაქტორი რ. შარბინი

საბეჭდო კოლეგია: შრ. აბაშიძე, მკ. ზურაბანიძე, ი. გრიგუშვილი, შ. ცხაღაძე, თ. თაყაიშვილი, შაჰვ. გომეზიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაშვილი.

№ 7/73



გ ა ს ა რ თ ო ბ ი

ა მ ო ც ა ნ ა

ქოჩორა კრუხს წიწილები
ბევრი ჰყავდა,—უთვალავი:
ორი წილი თეთრი იყო,
ერთი წილი—ფერად შავი.
სამი ქორმა მოიტაცა—
სამივე თეთრი ბამბასავით;
შავ წიწილზე მაშინ თეთრი
მანც მეტი დარჩა სამით.

გამოიკან: ჩვენს ქოჩორას
სულ რამდენი შვილი ჰყავდა.
სანამ ქორი შესაქმელად
სამ წიწილას წაიყვანდა!

შეღვენილი დ. ძემაშვილის მიერ



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1. ერთი საქირო მცენარე
ზაფხულში მოდის თოვლად,
მორწყვა სქირდება, გამარგვლაც,
უნდა სათუთი მოვლა.
თოვლსა ჰგავს, თოვლი არ არის,
ის არც მოსულა ციდან,
მისგან მზადდება ყველასთვის
ტანსაცმელი და წინდა.

2. ერთი სათუთი არსება
ბავშვთათვის საყვარელია.
კაბა აქვს მტვერში მოსერილი,
თუმც კაბა მინც ჭრელია.
მეტად ნაზია საბრალო,
ბულბულიც მისი მტერია,
მრავალი თვალთ გვიჩინავს
მრავალიც ღაგვიქერია.

შეღვენილი ვ. ჯგავიშვილის მიერ



ყლაზე: „ლენინის სურათთან“ ნახატი რ. სტურუაჩი

გამომცემლობა „კომუნისტ“ რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 III სართ.
გამომცემლობის შეფ. № 37 სტამბის შეფ. 963/447 ტირაჟი 7000 ყუ 02514 ფანა 5 მან.
ტექსტი აწუბობლია დ. პ. მერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ეფრნელი
დაბეჭდილია იესეტის სისტემის მანქანაზე. „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42